განკარგულება - N 21.934.1068
6 / ივლისი / 2021 წ.

ქ. თბილისში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმდა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/ნ 204460957), შპს „მარიჯანს“ (ს/ნ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგს“ (ს/ნ 204531499), შპს „დაკიდებული ბაღებს“ (ს/ნ 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/ნ 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომს“ (ს/ნ 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემს“-ს (ს/ნ 205292486) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში - მემორანდუმი) (მემორანდუმის პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის N20.1513.1861 განკარგულებით). ასევე მასში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. დაინტერესებულმა პირებმა, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი თანხის გადარიცხვა უნდა უზრუნველყონ მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების დაცვით.

მემორანდუმი სხვა საკითხებთან ერთად, 3.11 პუნქტის შესაბამისად ითვალისწინებს; ,,რომ ამ მუხლის 3.10 და 3.10[1] პუნქტებში მითითებული დამატებითი ფინანსური სახსრები შესაძლოა ჩარიცხულ იქნას სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე. ამ მიზნით, მემორანდუმის ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში თბილისის მთავრობა და შპს „სიემსი“ უზრუნველყოფენ საქართველოში ლიცენზირებულ ბანკთან მიზნობრივი საბანკო ანგარიშის გახსნის ხელშეკრულების დადებას, რომლის თანახმადაც ანგარიშის განმკარგველ სუბიექტად განისაზღვრება შპს „სიემსი“ იმ პირობით, რომ ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვის უფლებამოსილება კომპანიას ექნება მხოლოდ თბილისის მთავრობის თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე მემორანდუმით დადგენილი პირობებისა და პროცედურების სრული დაცვით. მხარეები აცხადებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მიზეზით წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების პერიოდში მიზნობრივ ანგარიშზე რიცხული თანხების სრულად გახარჯვა არ განხორციელდა, აღნიშნული თანხები მემორანდუმის ვადის გასვლამდე ჩარიცხულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.“.

2021 წლის 1 ივლისის ქალაქ თბლისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N21.929.1041 განკარგულების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ 2020 წლის 16 დეკემბერის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ცვლილებებით) გათვალისწინებული მიზნით სპეციალური მიზნობრივი ანგარიშის შექმნის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესების ეფექტურად მართვის მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ჩარიცხვა მემორანდუმით გათვალისწინებულ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის ,,ე.კ“ ქვეპუნქტისა და „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/ნ 204460957), შპს „მარიჯანს“ (ს/ნ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგს“ (ს/ნ 204531499), შპს

„დაკიდებული ბაღებს“ (ს/ნ 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/ნ 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომს“ (ს/ნ 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემს“ (ს/ნ 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (მასში განხორციელებული ცვლილებების) საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, იმ დაინტერესებულ პირებს, რომელთა მიმართ გამოყენებულია შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები და აღნიშნულის გამო მათ აქვთ განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება, დაევალოთ, რომ ამ თანხის გადარიცხვა უზრუნველყონ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ 2020 წლის 16 დეკემბერის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ცვლილებებით) გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა, ამავე პუნქტით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა უზრუნველყონ მათ მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების შესახებ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ქალაქო სამსახურის უფროსს ვახტანგ ლომჯარიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 201

"6" მაისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს „ლაქი ქონსთრაქშენის" (ს/ნ. 405370708) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. №53 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.10.14.028.002) მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,ლაქი ქონსთრაქშენის" (ს/ნ. 405370708) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 3 მაისის №22.642.721 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ლაქი ქონსთრაქშენის" (ს/ნ. 405370708) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ. №01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.

თბილისი, სულხან ცინცაძის ქ №53 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.10.14.028.002) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 3.5-მდე;

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე - სიმაღლის განმსაზღვრელი ნორმები, მიჯნის ზონის და ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) შპს „ლაქი ქონსთრაქშენმა“ (ს/ნ. 405370708) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 1 263 529 (ერთი მილიონ ორასსამოცდასამი ათას ხუთასოცდაცხრა) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ. 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ. 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) შპს „ლაქი ქონსთრაქშენმა“ (ს/ნ. 405370708) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**



შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ნ. კასრაძე

არქიტექტორი: დ. ლოსაბერიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, ს.ცინცაძის ქ. №53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:
გენგეგმა

ფურცელი: (69)

მასშტაბი: 1:500 ფორმატი: A2

03.01.2024



შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი ჯ, ინბოროვვას ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ნ. ქასრაძე

არქიტექტორი: დ. ლოსაბერიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, ს.ცინცაძის ქ. №53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:
სხივის ბეგმა

შურცელი: (69)

მასშტაბი: 1:200 ფორმატი: A1

03.01.2024

სიმაღლის განმსაზღვრელი 1

1822,49/0.4=4556,22



შენიშვნები:

ექსპერტიზა:

კონსტრუქციის ანაწერები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინტერნეტის ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: დ. ლილაბიძე

არქიტექტორი: ნ. ქასრაძე

არქიტექტორი: დ. ლილაბიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, სანაპირო ქ. N53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზის:

სიმაღლის განმსაზღვრელი 1

შეკვეთა: (69)

მასშტაბი: 1:100 შეთავაზი: A0

03.01.2024

სიმაღლის განმსაზღვრელი 2



შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ნ. კასრაძე

არქიტექტორი: დ. ლოსაბერიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, ს.ცინცაძის ქ. №53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:

სიმაღლის განმსაზღვრელი 2

ფურცელი: (69)

მასშტაბი: 1:100 ფორმატი: A0

03.01.2024

სიმაღლის ბანმსაზღვრელი ეზოს მხრიდან



შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. ა. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: ლ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ნ. ქასრაძე

არქიტექტორი: ლ. ლოსაბერიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, ს.ცინცაძის ქ. №53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:

სიმაღლის ბანმსაზღვრელი ეზოს მხრიდან

ფურცელი: (69)

მასშტაბი: 1:100 ფორმატი: A0

03.01.2024

სიმაღლის განმსაზღვრელი ეზოს მხრიდან 2



შენიშვნები:

ეტაპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179 თბილისი

დირექტორი: დ. ლოსაბერიძე

არქიტექტორი: ნ. კასრაძე

არქიტექტორი: დ. ლოსაბერიძე

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, ს.ცინცაძის ქ. №53 01.10.14.028.002

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:
სიმაღლის განმსაზღვრელი ეზოს მხრიდან 2

ფურცელი: (69)

მასშტაბი: 1:100 ფორმატი: A0

03.01.2024